

მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია "გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები"

გასული საუკუნის განმავლობაში ქართული მეცნიერული აზრის საერთაშორისო აღიარება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ქართული მათემატიკური სკოლის მიღწევებით, რასაც საფუძველი ძირითადად ამ 105 წლის წინ ჩაეყარა, **ტფილისის უნივერსიტეტის** დაარსებისთანავე, როდესაც ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებლის – ანდრია რაზმაძის, მისი რეკომენდაციით, პეტერბურგიდან მოწვეული ნიკოლოზ მუსხელიშვილის, აგრეთვე გიორგი ნიკოლაძისა და არჩილ ხარაძის დიდი ძალისხმევით და მეცადინეობის შედეგად საქართველოში დაიწყო ზუსტ მეცნიერებებში იმ დროისათვის დაგროვილი უმაღლესი ცოდნის სისტემატური გავრცელება და საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა მათემატიკის როგორც ფუნდამენტურ, ისე გამოყენებით დარგებში. ამ მიღწევებს შორის ძალზე მნიშვნელოვანია დრეკადობის მათემატიკური თეორიის დაფუძნებასა და შემდგომ განვითარებაში ნიკოლოზ მუსხელიშვილის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღზრდილი მეცნიერების – ილია ვეკუას, ვიქტორ კუპრაძის, ანდრო ბიწაძის, მათი მოწაფეების და მიმდევრების მიერ შეტანილი წვლილი, რითაც მათ მსოფლიო ცნობადობა მოიპოვეს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) დაარსების 105-ე წლისთავისადმი და ამ უნივერსიტეტში ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (გმი) დაარსების 55-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, ა.წ. 13-15 სექტემბერს ჩატარდა მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“ (საერთაშორისო კონფერენციების ამ სერიას საფუძველი ჩაეყარა 2008 წელს, როდესაც ჩატარდა რიგით პირველი კონფერენცია, რომელიც მიემდგვნა თსუ-ის დაარსების 90-ე წლისთავს და თსუ-ში გმი-ს დაარსების მე-40 წლისთავს. მეორე და მესამე კონფერენციები კი, შესაბამისად, ჩატარდა 2013 და 2018 წლებში).

კონფერენცია გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გიორგი ჯაიანმა. თსუ-ში შეკრებილ მეცნიერებს თსუ რექტორის მოადგილემ ნინო ოკრიბელაშვილმა მიმართა და აღნიშნა, რომ მსგავსი კონფერენციების ჩატარება ხელს უწყობს ქართველ და უცხოელ მეცნიერებს შორის არსებული სამეცნიერო კავშირების შენარჩუნებასა და გაფართოებას.

ღონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და თსუ-ის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტს რუმინეთის აკადემიის სიმონ სტოილოვის მათემატიკის ინსტიტუტის საპატიო დიპლომები გადაეცა გადასცა მისმა დირექტორმა პროფესორმა ლუსიენ ბეზნემამ.

პროგრამით განსაზღვრული იყო ერთი გახსნის, ერთი დახურვის, 16 მოწვეული და 18 სექციური მოხსენება. გარდა ამისა, გახსნის ცერემონიაზე გაკეთდა ორი მიმოხილვითი მოხსენება, რომელთაგან ერთი მიემდგვნა ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი

მათემატიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 55 წლის ისტორიას (პროფ. გ.ჯაიანი), მეორე კი მათემატიკის განვითარებას თსუ-ში დაარსებიდან დღემდე (პროფ. ო.ფურთუხია).

ქართველ და მოწვეულ უცხოელ მეცნიერებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ ერთმანეთის უახლეს მიღწევებს უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემებისა და ანალიზის მონათესავე საკითხების, მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის, მათემატიკური და საინჟინრო მექანიკის მიმართულეებით, რაც ხელს შეუწყობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების თანამედროვე დონეზე შესრულებას ზემოაღნიშნულ საქართველოს უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში და წაადგება საქართველოში შესაბამისი დარგების შემდგომ განვითარებას და, შედეგად, ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეს.

უცხოელ მონაწილეების სახელით პროფ. ჰ.ალტენბახმა მაღალი შეფასება მისცა, როგორც კონფერენციის ორგანიზაციულ ასევე სამეცნიერო დონეს და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას. მან ასევე აღნიშნა, რომ წამახვილებული სხეულების გამოკვლევა ახალი მიმართულებაა, რომელიც წარმატებით ვითარდება ქართველი მეცნიერების ჯგუფის მიერ და ამ მიმართულებით კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ორი პლენარული მოხსენება.

კონფერენციის სპონსორი გახლდათ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი („მობილობისა და სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში (ლოტი II) გამარჯვებულ პროექტი #MG-ISE-23-874).

კონფერენციის ვებ-გვერდი: <http://www.viam.science.tsu.ge/mpam2023/> .